

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. სალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირასობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-შთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა, დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

სამი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება მთელი წელიწადი — გაზეთის რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლში, № 6); გარეშე ქალაქებში — „დროების“ აგენტებთან.

ფასი სამი თვის გაზეთისა ე. ი. 1 ოქტომბრიდან მომავალი წლის 1 იანვრამდე — 2 მან. 50 კაპ. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოდ რამდენიმე დარჩენილი, — ღირს — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა — 1 მან.

საქართველო

ადგილობრივი სენს

ადგილობრივი სახსარი ეპირეზა

თითქმის ყოველ წელიწადს ჩვენს ქვეყნის თუ ერთსა და თუ მეორეს კუთხეში უჩვეულად რაიმე ჭირი ანუ უბედურება ავითმყოფობდა ჩნდება თუ კაცისა და თუ საქონლის.

ზოგან ყვავილი, ზოგან ციგება, ზოგან მუცელ-კეთილი, ხეცა, საქონლის თურქული, შინაური ფრინველის ჭირი და სხვ. და სხვ.

იხოცება უანგაროთ ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა; კიდევ უფრო ბევრი იხოცება საქონელი.

და მშველელი, დამხსნელი ამ სახალხო უბედურების დროს კაცი არ ჩნდება.

ჩვენი ექიმები... რა უნდა ითქვას ამ ჩვენს ექიმებზე, რომელნიც თანდათან თანამდებობას ფორმალურად ასრულებენ, რომელნიც ავითმყოფთან რომ მიდიან, სანამ მაქვს გაუსინჯადენ, ხელის გულზე შესჩერებინ — აბა, რამდენი ფული უღვეთ ზედაო! ათასჯერ თქმულა ეს ჩვენს გაზეთში; ათასჯერ თქმულა აგრეთვე ის, რომ ხალხი იმდენათ ღარბია, რომ ამ ექიმების ცოდნითა და გამოცდილებით (თუ კი აქეთ რაიმე ცოდნა და გამოცდილება) ვერ სარგებლობს იმიტომ, რომ საშუალება არა აქვს და კიდევ, იმიტომ რომ ცრუ-მორწმუნე არიან და ხშირად თავიანთ მკითხავენისა და მარჩიელების მიმართებას ამჯობინებენ. ხალხი, მღაბიო ხალხი არ ენდობა სწავლულ ექიმებსა.

რასაკვირველია, რომ უფრო ხშირად მკითხავენთან და სოფლის ექიმთან მიმართება, დახმარების მაგივრად, ჰლუბავს და აზნევეს ხალხსა. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ზოგიერთს შეშთხვევებში, მართალია, ძალიან იშვიათად, ეს სოფლის ექიმები ნამდვილ საშუალებასა და შემსუბუქებას აძლე-

ვენ სხვა და სხვა ავითმყოფისა და სენისაგან შეპყრობილ ხალხს.

შველას გაუგონია თურმანიძეების გვარი, რომელთაც, თუმცა არც ანატომია უსწავლიათ, არც ხირურგია, მაგრამ რომელნიც, როგორც ამბობენ, ჩინებულად სწამლობენ დაჭრილებსა და საზოგადოთ ხირურგიულ ავითმყოფობას. შველას გაუგონია აგრეთვე, რომ იპერეთში ბრაზის წამალი იციან და სხვ.

ჩვენი მედიცინის საზოგადოების მოვალეობა არის, რომ გამოიკვლიოს ადგილობრივი ავითმყოფობანი, გამოიკვლიოს ადგილობრივი წამლობა, შეიტყოს, გაიცნოს ის წამლები, რომლითაც სარგებლობენ ჩვენებური უბრალო, სოფლის ექიმები. მინციც, იქნება ამ საშუალებათაგან ათასში ერთი მაინც გამოდგეს იმისთანა წამლად, რომელიც ნამდვილად ჰშველის რომელსაღაც ადგილობრივ ავითმყოფობას და რომელიც ჯერ მეცნიერებას არ ჰქონდეს შეტყობილი. უფრო მეტი კი ამ შინაურულ წამლებთაგან, უეჭველია, მანებელია, მოვალეობაა, რომ ამ გვარი წამლების ხმარება, მმართველობის უშაბდგომლობით, აუკრძალოს ხალხს.

მაგრამ ყველაზე უკეთესი საშუალება ამ მხრით ხალხის დახმარებისათვის ის იქნება, რომ ჩვენს ქალაქებში და უფლებებში „გიმოსაცდელ და დასასჯელ“ ექიმებს კი არ აგზანდინდენ; არამედ იმისთანებს, რომელთაც თავის ხელობა კარგად ესმის, სინდისიანად უყურებენ თავის მოვალეობას და რომელთაც მართლა ჰსურსათ ხალხისათვის შეღავათის მოტანა.

მიეცით ხალხს კარგი, მკოდნე, კეთილ-სინდისიანი ექიმები, გააფრცულეთ სახალხო ექიმობის წიგნები, რომლის გაგება და რომლითაც სარგებლობა იმას ადვილად, ხელად, სოფელშივე შეეძლოს, — და დარწმუნებული იყავით, რომ ეს ხალხი ზედაც აღარ შეხედავს სოფლის ექიმებს. თორემ „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდა“, ხომ გაგიგონიათ.

ს. მესხი

დღიური

ამ ორშაბათს, ოქტომბრის 11-ს, საღამოს 9 1/2 საათზედ მოჰკლეს უფ. ბეჯეტი ოსმალის კონსული და იმის ცოლი. ეს ორი დღეა, ამ გარემოებაზე ჩვენს ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ; ამბობენ, რომ იმ დროს იმავე სახლში ელჩის სეკრეტარიც იყო; ბიჭები ქვევით ყოფილან, სამხარეულოში და

ვერა შეტყვიათ რა. მოკლული ელჩი მორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზე იდგა, ძუკიაში, აღრინდელ მრისთვის სახლში. 11 საათზე ეს ამბავი პოლიციას შეატყობინეს, რომელმანც იმწამსვე მიიღო ზომები ავანაკების აღმოსაჩენად.

ამბობენ, კონსული თექვსმეტ ალაგას არის ხანჯლით დაჭრილი და თითოეული დაჭრილობა ისეთია, რომ მოსაკლავად კმარადაო; ცოლსაც რამდენსაღაც ალაგას აქვს დაკრული და მერე ყელი გამოუჭრიათ.

რასაკვირველია, რომ ამ საქმის თაობაზე ფიცხელი გამოძიება დანიშნული. ქალაქში ლაპარაკობენ, რომ ეს შურის-ძიების საქმეაო.

ბუშინწინ და გუშინ დილით საშინელი ქარი და სიცივე იყო ჩვენს ქალაქში. ბევრი ფანჯრები დაამტვრია, ბევრი სახურავი ააგლიჯა ქარმა, ძალიანაში ხეები წააქცია. ბუშინ დილით ცოტა თოვლიც იყო.

ჩვენ მოგვივიდა რამოდენიმე საჩივარი ცხერის ფარის პატრონებისაგან, რომ ისე ცხვარი ვერ გაგვიტარებია ქალაქის ქუჩებზე, რომ ხუთი-ექვსი მაინც არ დაგვეკარგოს თითო ფარიდამაო. თუ მდღეუქნები და თუ კინტოები წააგლებენ ხელს, ჩაგდებენ სარდაფებში და თუ შეენიშნეთ, ხო კარგი, იქნება ერთის ჩხუბითა და ვაი-ვაგლახით უკან დავიბრუნოთ და თუ არა, ის არის დაიკარგაო.

ეს ამბავი ჩვენ სრულიად არ გვაკვირებს, და არ გვაკვირებს იმიტომ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენ თვითონ ვიყავით მოწამე, რომ ცეცხლის კამანდის მოსამსახურებმა სამი ცხვარი მოიტაცეს ფარიდამ, რომელიც დილის 10-ს საათზე ჩამოატარეს აქ, ამ გამოჩენილს ადგილზე; ამ სამი ცხვარდამ ორი როგორც იყო დაიბრუნეს მწყემსებმა და ერთი კი მტაცებლებმა საღამომი მამალეს პოლიციის დიდს ეზოში, ისე რომ იმის კვალიც გაჰქრა. თუ კი ცეცხლის კამანდის მოსამსახურენი თითქმის შუადღეზე, ამისთანა საქმეს ჰხედავენ, კინტოებსა და სხვ. ამ გვარ ხალხს რა მოეთხოვება? რაღა გაგვიკვირდება, რომ იმათ შუადღეზე საღამომი მოვარდნილ, მიყრუებულ ალაგას თითო-ორი ცხვარი მოიტაცონ?

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებ-

ში სიღნაღის უფზის უფროსის თანამეწვესა და ერთს ადგილობრივ მემამულეს რაღაცა საქმის თაობაზე უკმაყოფილება მოსვლიათ. ჯერ-დიდხანს სიტყვით ულაპარაკნიათ და უბაასნიათ, და მერე საქმე მუშტი-კრივზე მივარდნილა. ჩვენ არ გვატყობინებენ ჯერ: რომელი მხარე დარჩა ამ ბრძოლაში დამარცხებული და რომელი გამარჯვებული...

მზურგეთიდან შემდეგს გარემოებას გეწერენ:

„მოგესვენებთ, რომ ეს თითქმის ერთი წელიწადია, რაც ერთი ახალგაზდა გურული ყმაწვილი, სახელად ი. შ—მე, რაღაც დანაშაულობის გამო, ოსმალეთში არის გარდახვეწილი.

ერთი ვიღაც კაცი მივიდა ამ დღეებში ჩვენ უფზის უფროსთან და მოახსენა, რომ ის ყმაწვილი დღეს თავის მამასთან ათანებს ღამეს და თუ დაქვრა გნებავთ, ახლა გაქვთ დროო.

„შეზღის უფროსმა იმწამსვე ერთი რუხის კამანდა წაიყვანა თან და დაადგა იმ სოფლის გზას, რომელშიაც სხენებული ყმაწვილის მამა დგას მივიდნენ, შემოახვივნენ გარს სახლსა და დაურაკუნეს მღვდელს კაშემდეგ, — ავანაკების საზიხაროდ ხო არ იქნები სახლი, ამ დროს, შუადღეზე, რომ თავს მესხებთან, — მღვდელმა ბოლოს გაალო კარები; მაგრამ, რასაკვირველია, ვერა ნახეს რა.

„ზამოჯარეული სალდათები შევიდნენ ამ პატიოსანი მღვდლის ეზოში, მონახეს მარანი, ახადეს ღვინით სავსე ქვევრს თავი და იმდენი სვეს, მინამ სწორეთ სალდათურად არ დათვინ. ამ სამაში სალდათებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ და ბარე ორი ცხვირ-პირ დამტვრეული დაბრუნდა ამ უნაყოფო ლაშქრობიდან.“

იმ დღელების თაობაზე, რომელ-ზედაც ამას წინათ იწერებოდნენ მზურგეთიდან, ახლა მოგვივიდა ჩვენ კიდევ შემდეგი ამბავი:

„თქვენი ოზურგეთელი კორნისონდენტი ყველაფერს ისე არ იწერება, როგორც ნამდვილად მოხდა ეს საქმე; აი ნამდვილი გარემოება:

„ამ თვის პირველს უფ. ლ. და შ. ერთს რაღაც უბრალო საგანზედ მოუვიდათ ლაპარაკი მზურგეთის მადანზედ. რამდენიმე პირი დაესწრო ამ დროს იქ; კარგა-ლაზათიანათ გალანდლეს ერთმანეთი; რადგან უფ. შ. უფრო მსწრებელი სიტყვის პატრონი აღმოჩნდა, ორიოდვე მკვებე სიტყვა გარდაემტა, რომელიც უფ. ლ. თავის შეურაცხყოფად მიიღო და შეურაცხყოფელი დუელში გამოითხოვა; საღამოს გაუგზავნა ბარათი, რომელშიაც სთხოვდა დილით დანიშნულს ალაგსა და საათს თავის საკუნდან ტუბით გამოსვლა.

„უფ. შ. მზათ იყო აესრულებინა ეს წინადადება, მაგრამ იმ დამსვე დუელი შემდეგ გარემოებამ ჩაშალა:

„ერთმა გურულმა ბიჭმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, იმწამსვე ყველაფერი უფზის უფ-

როს შეატყობინა, ამა-და-ამ დროს, ესა-და-ეს პირნი დუელში გასვლას აპირებდნენ და მთელი მსურვეთის თავად-აზნაურობა და ჩინოვნიკები სიბრის საუბრებლად აპირებენ წასვლას (!) და ჯერ კი უკვლანი მ—ას სადგომზე არიან შეკრებილნი.

შეზღის უფროსმა, მიიღო თუ არა ეს განცხადება, იმ წამსვე განკარგულბა მოაზრინა და გაგზავნა პოლიციის ჩინოვნიკები, რომ დუელი დაეშალათ.

პოლიციის ჩინოვნიკებმა აასრულეს უფროსის ბრძანება დუელის ტეპი მორიგდნენ, და საქმე ამით გათავდა.

* *

ქათინევიდამ მოგვიყვინა ამბავი, რომ ამ უკანასკნელ დროს ამ სოფელში რაღაც ავითმყოფობა გაჩენილა, რომელიც ბევრ ხალხს ჰხოცავს; მუწუკი გამოებმისო, რომელიც მოლურჯო-მოწითალოთ სიედებოა და ისეთ ნაირად შეაწუხებს ავითმყოფს რომ მოუკლავდარ გაუშვებდარ.

„დროების“ კორექსიონდენცია

სახხმრამ, 30 სექტემბერს. დიდი მადლობელი არის ხალხი, უფალო რედაქტორო, თქვენის პატრეცემულ გაზეთისა, რადგან, როგორც ხალხი ამბობს, დღეს იმან პირ-და-პირი დახმარება გვიჩვენა გაჭირებაშიო: წასულის თვის 25-ს კორარესპონდენცია იყო დაბეჭდილი თქვენი გაზეთის № 93-ში სახხერიდამ, ჩვენს შეუბრალებელ მუცელაზედ; არ გასულა დიდი ხანი მან შემდეგ, რომ თქულისიდამ უმაღლესი მთავრობის განკარგულებით მოვიდა ექიმი—უფ. ს. ს. ს. ამ ქამად აქამ ჩვენს დაბა სახხერეში და ახლო-მახლო სოფლებში ძრიელ ფაცი-ფუცშია, ერთი საათის მოსვენება არა აქვს, თუ თვითონ დადის და თუ მასთან მრდიან ავითმყოფის პატრონები; მაგრამ რა ქნას: წამალი აღარ გააჩნია, ამბობს შემომკელიაო, თუმცა პირველ დღესვე ესევე სიტყვა მესმოდა. ამან გამოსცა დარიგება, რომელიც ერთმა თავადმა თარგმნა ქართულათ მდაბიურის ენით და კანცელარიებში დაარიგეს, რომ მიჰქრან კარებზე.

არ შეიძლება კაცმა თქვას, რომ სარგებლობა არ მოიტანოს იმ დარიგებამ, პატარა ბლომათ რომ დაეწერათ; ქალაქი კი მოუტანდა სარგებლობას მუცელანს.

დღეს მარწმუნა უფ. ლუნკევიჩმა, რომ ისე მოგსპე მუცელა, რომ ძრიელ ცოტანი დარჩინო. რასაკვირველია, ცოტა იქნება, თუ ექიმს არ შეატყობინებენ. მე გაბედვით მოგახსენებთ, რომ იმისთანა სახლი არ არის, რომ ავითმყოფი არ იყოს; ჩემის ანგარიშით 40 ნასალი ავითმყოფია ამ ქამად აქ, ესე იგი ასსზედ რომოცი სული ავითმყოფი არის.

ამას გარდა სოფელს ძაცხში, ამბობენ, სიმბირის ჭირი (Сибирская язва) გაჩენილა. მიხვნი ამის ყოფილა შემდეგი. ჰირიანი-საქონელი გაუტყავებით და აქედამ გასჩენით; ვისაც უჭამია, მომკვდარა და ვისაც გაუტყავებია, ეს სიმბირის ჭირი გასჩენია.

საწყალი ბართაშვილის ქერიეი სწორეთ იმ ნაირი მოკლულია, როგორც ანდრეევსკის ქალი, იმ მიზნით და იმ დაწყობილი პლანებით. მხოლოდ ეს არი განსხვავება, რომ ეს იყო ბართაშვილის ქერიეი, ის იყო ანდრეევსკის ქალი-შვილი, ეს ცხოვრობდა სოფ. ზოდს, ის ცხოვრობდა მდესაში, ამის მოკვლის ინტერესი იყო—200 მანეთი. ამას ჰქონდა თავი გატეხილი და ის კი წყალში დამორჩილი ნახეს. მგონია, თავის ხელით თავი ვერ გაიტეხოს კაცმა და თუ კი გაიტეხა ისიც ადვილად საცნობია, მაგრამ წყალში დამორჩილს კი ძნელათ შეეცოდა — თვითონ დაირჩო თავი თუ სხვამ დაარჩო წყალში. ასე არის, თუ ისე, მთელი გაზეთები ანდრეევსკის ქალზე ლაღადობს და ბართაშვილის ქერიეზე კი გამოძიებაც არ ყოფილა! მართი ვილაც გიჟი და სახელს, იმან მოკლაო. მართლეს კი დაიწერა „დროებაში“ გაკვრით იმ საცოდავის მოკვლა (№ 76); მაგრამ ვინ ათხოვდა ყურს შემდეგ მისა, რომ უ. შორაპნის მარის მმართველი სწერს, რომ მის უბნში წელს, არა თუ კაცის-კვლა, ქურდობაც არ ყოფილაო. მართალია, ადმინისტრაციას უნდა გაეგო ეს საქმე და გადაეცა სამჯავროში ან გამოძიებრა დანაშაულია? თ. ჰაეჭავაძე სანამ იყო აქ თანაშემწედ შორაპნის მარის მმართველისა, მენაში გაკეთებულის თვალთ უფრო ბევრს ხედავდა, ვინემ ზოგნი ბუნებითი თვალებით.

წელს სიმინდის მოსავალი შორაპნდელით არ არის; მაგრამ რაც არის ძრიელ მაწიერი არის. ბეაღვის სიმინდი წრევანდელი ერთი ურემი ორ ურემს სჯობიაო; გამოცხობაზე სადაც ერთი ჩაფი წყალი უნდებოდა მოსაზელათო სიმინდის ფქვილს, წრევანდელი ფქვილი ორ ჩაფს ისხამს წყალსო და ნოყიერი არისო.

ღვინო, ვინც აჩქარა, რთველი აღრე ჰქნა, მაშინვე წახდა უწვიმობისგან; მაგრამ ღვთისმშობლობას დღეს დაბადება იყო მთვარის, ცოტა წვიმა გაჩნდა და შემდეგ ერთიც კარგა იწვიმა და ყველა ერთად მიეხვია რთველს და ღვინო ძრიელ ცოტა მოვიდა. თუმცა თვალთ ბევრი ჩნდა ყურძენი, მაგრამ გამხმარი იყო უწვიმობით, გამოფშუტული.

ლობიოს სახსენებელი არსად არის გარდა მთისა, მთაში კი მოვიდა. ხეები ძრიელ დაუხმია წრევანდელ გვალვას.

16 გასულს თვეს ერთი გრიგალი ქარი მოვარდა, ერთის წამის განმავლობაში ისე დაუშვა ხე და ტყე, რომ ას-ასი წლის მუხები დასცაძირს, სახლებს ბევრს სახურავი მოხადა, სადაც გაჰკრა. ნეტავ, ზღვაში რა ამბავი იყო ამ დროს?

X. X.

გორი, 3 ოქტომბერს. მდინარე მტკვარზედ, ბორიდამ ერთ ვერსზედ, დღესაც ნახამთ ძველისგან-ძველის დროდგან აშენებულ ხიდის ბურჯებს ქვეთკირისას; მე თითონ მინახამს 1850-ში, ამ ძველ ბურჯებზედ კიდევ დაწყობილი იყო მსხვილი ხეები და ხედ ხალხი დადიოდა. მაგრამ ცოტა ხანს უკან, ესე იგი 1852-ში, ეს ხეები სულ ჩაიშალა თუ ძალათ ჩაშალეს—არც ის ვიცი—და მოისპო იქ სიარული.

სხვა საშუალება რომ აღარ ჰქონდა ხალხს გასულ-გამოსულიყენენ მტკვარზედ, ოთხ რუმბებს გაბერამდენ, ზედ ფიცრებს აკრამდენ, ვინც ამის მოხმარება იცოდა და ამითი გაჰყავ-გამოჰყავდათ ხალხი ადლებულ მტკვარში. რამდენი კაცი იხრჩობოდა ამ გვარს გასავალზედ—ეს კი ერთმა ღმერთმა უწყის.

მემრე ამაზე უკეთესი საშუალება მოიგონეს: გამართეს გძელი ფიცრის ნაგები, სადაც ოც სულობით ხალხს ჩასხამდენ შიგა და ამითი გაჰყავ-გამოჰყავდათ; მაგრამ როგორც წყლის კოკები წყალზედ იმტერევა ხოლმე, იმ სახით ის ნაგებიც სულ მტკვარში დილუბა ხალხით.

შემდეგ ამისა მთავრობამ გამართა ბორში პორომები და ხან თითონ მთავრობის კაცი ამუშაებდა, ხან იჯარადარს ეჭირა ხოლმე და ხალხი ამითი უფრო მშვიდათ გადიოდა ხოლმე. ამანაც თავი არ დაიჭრა, ეს პარომებიც ბევრი ენახეთ წყლისაგან მოტაცებული, ხალხით.

ბოლოს, რა ნახეს გორელებმა, რომ ბევრი უბედურება ხდებოდა წყლისგან, სტქვეს, თუ ხიდი არ გაეკეთეთო, არ იქნებო, და 1866-ში ხიდი გააკეთეს ფიცრისა, და ამდენი უბედურებისაგან თავი დაიფარეს.

საუბედუროთ, ეს ხიდი ამ ქამად ძალიან დაძველდა; რაც სიმავრე ჰქონდა, თითქო სრულებით წაიღო წყალმა და ერთი რომ წყალმა მოიმატოს, იმედი არ არის გადარჩეს წყალს წაუღებელი ანუ წაუშლელო, და მაშინ ისევე ისე უნდა ვეწვალოთ გასელა-გამოსელაზე, როგორც ზემოთ ვთქვი. მაშასადამე ახლა დროა, რომ ამ საგანზე ჩვენ, გორელებმა ვიფიქროთ.

ადვილათ შეიძლება არა თუ ფიცრის ხიდი, რკინის ხიდი გააკეთონ მოკლე ხანში ასე, რომ შეიძლება თუ ეცადნენ, მინამ ეგ ფიცრის ხილია, რკინის ხიდიც მოასწრონ; და

რომელი წყაროდმე ჩატეხნა... ნებთ: ...

ეს ბორის ხიდი აგერ სამი წელიწადია საშიშროებშია, მაგრამ იჯარა გაკეთების დღედგან წელიწადში 5,000 მანეთიდან 6,000 მანეთამდი სძევს და იჯარადარი ხალხისაგან იღებს; ეს ფულები სად გაიბნა, მერე ვიკითხოთ. რა ნახა აქაურმა უფნდის უფროსმა თ. რევაზ შაღვას ძემ მრისთავმა, რომ ეს ხიდი მალე ჩაიშლება და ქალაქი უხილდობით შეწყუბდება, მთელ ბორის უფნდის ხალხს ურჩია, თავიანთი შეძლების დავართათ, ფული მოეგროვებინათ და ბორში მტკვარზედ რკინის ხიდი გაკეთებულყო და იმათაც სამუდამოთ უფულოთ ევლოთ. ამის რჩევით, როგორც დამარწმუნეს, 42,000 მანეთი შესწირა მთელი უფნდის ხალხმა; ამაზე საქმეები არის შემდგარი, და როგორც მოსთხოვენ, შემოიტანებენ ჯეროვან ალაგს ფულსა.

მაგრამ ეს ფული რკინის ხიდს ვერ გააკეთებს, როგორც სტქვეს იწყინებმა, და სმეტაც არის შემდგარი, 70,000 მანეთამდინ ფული უნდა გაკეთებასო. 42,000 მანეთი არის მზათ, აქ კიდევ სჭირდება 28,000 მანეთამდინ; მაგრამ ესეც უნდა დაუმატოთ, როცა ეს სმეტა გაუკეთებიათ ინჯინრებს, მაშინ რკინის გზა არ იყო და მრპირიდამ ფუთი 50-დამ 60 კაპეიკზე ნაკლებ არ გადმოიტანებოდა. ახლა რკინის გზა არის და შოთიდამ ფუთზე დასჭირდება ბორამდინ ხარჯი ოც კაპეიკზე ნაკლები და არა მეტი. მაშასადამე 70,000 მანეთი აღარ მოუწდება, 60,000 მანეთიც ეყოფა, და სწორეთ რომ ეიანგარიშოთ, გორელებმა რომ ითავონ და 20,000 მანეთი იშოვონ, ან ივალონ, ან გასწირონ ბორზედ, ამ რკინის ხიდს მალე გააკეთებენ.

თუ ამ ზამთარშიაც მიყრუედა ეს საქმე, თქვენი მტერი იყოს, როგორც ბორის მდგომარეობა იქნება, სწორეთ ისევე საპარომეთ გაგვიხდება საქმე...

ა. მთავარი

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. თვითონ ბრძოლის ევლიდამ კი ხანია შესანიშნავი ამბავი არა ისმის რა, და არც მაგდნათ აქვეენ ამ ქამად ყურადღებას იმ წერილ შეტაკებას, რომელიც სერბიასა და მსმალოს შუა არის. საქმე იმაშია, რომ ახლა უფრო დიდ ბრძოლას, დიდ შეტაკებას მოვლიან.

სხვების რჩევით, სერბია და ჩერნოგორია არ დათანხმებულან, რომ ექვს კვირზედ უფრო დიდხანს გასტანოს დროებით მორიგებამ. მსმალეთი კი ამბობს, რომ ხუთ თვეზე ნაკლებ დროებით მორიგება ხელს არ მოგვეცემსო. აი ამაზედ არის დაბრკოლება.

მეროპის დიპლომატებს და განსაკუთრებით ინგლისის იმედი აქვსო, რომ საქმე შორს არ წავა, რომ ახ-



ლანდელ მებრძოლთ შუა მორიგება მოხდება და მერობის ბრძოლას თავი დამ აიცილებენ. მაგრამ, მეორეს მხრით, შემდეგი ამბები გვარწმუნებენ, რომ თუ მაინც-და-მაინც ომს არ უნდა მოველოდეთ, მზადება კი ძალიან გულს-მოდგინეთ არის ამ ომიანობისათვის:

პრუს პეტერბურგის განვითარებაში შემდეგი დებეზა დაბეჭდილი მოსკოვი-დამ მიღებული:

„ზუშინ, 4 ოქტომბერს, მოსკოვის შალაქის რჩევის საზოგადო კრებაზე ხმოვანმა დამიტრი იურის ძემ სამარინმა წარმოსთქვა მხურვალე სიტყვა სლავიანების საქმის მდგომარეობაზე; ორატორმა, სხვათა შორის, წინადადება მისცა კრებას, რომ ხელმწიფე იმპერატორს აღრესი წარუდგინონ, რომელშიაც თავის უმდაბლესი გრძნობანი და სურვილი განაცხადონ, რომ მზათ არიან ყოველი მსხვერპლი მოიტანონ, რაც კი საჭირო იქნება რუსეთის სახელისა და ღირსების დასაცველად.

„ამის შემდეგ რჩევაში წაიკითხეს აღრესის პროექტი, რომელშიაც გამოცხადებულია სრული მზად-ყოფნა ბრძანებისა, სიტყვითი იქნება ეს ბრძანება თუ საქმით მოინდობებს, რომ ჩვენ დაჩაგრულ ძმებს — სლავიანებს დაეხმაროთ.

ამავე გაზეთს („ახალ დროებას“), რომელშიაც ეს ამბავი დაბეჭდილია, გაუგონია, რომ ამ გვარსავე აღრესს სუბის, სტარიცკისა და ნოვოროსიის ერობანი ამზადებენ ამ მოკლე ხანში.

ძიღვე მეორე ამგვარივე ამბავი: პრუსიის ინგლისური გაზეთის კორრესპონდენტი იწერება ბერლინიდან, რომ რუსეთის მმართველობამ სპარსეთის შაჰს ჰკითხა: ვინიციობაა, რუსეთსა და ოსმალეთს შუა ომი რომ ასტყდეს, რუსეთის მხარეს დაიჭრ, თუ არაო. მითქო ამ კითხვის პასუხად, ამ კორრესპონდენტს ის გარემოება მოჰყავს, რომ სპარსეთის მმართველობამ ბრძანება გამოსცა და ერთი ნაწილი თავისი ჯარისა ოსმალეთის სამზღვარზე დააყენა.

„მმართველობის მოაბეზი“ დაბეჭდილია ოსმალეთში მყოფის რუსის ელჩების მოხსენება, რომლიდანაც ეტყობოდა, რომ ოსმალს სხვა და სხვა ქალაქებში დიდი მზადება არისო საომრათ და ამ დღეებში, სხვათა შორის, ტრაპიზონიდან შარსში და არზრუმში ზარბაზნები გაგზავნესო და მალე კიდევ ჯარის და სამხედრო იარაღების გაგზავნას აპირებენო.

ნარობის გამო, შეუდგენია აზრი პიროვნულ სინიღისზედ და პაპურ შეუცოდებლობაზედ, თავგადაგლეჯით ეტოტინება ყველა გვარ საშუალებას, წყალ-წადლებულის მსგავსად, რითაც სტილიობს დაიცვას დაუცველი და დაუმაგრებელი, არა ღირსეულათ მასში და მსახურებული თვისებები. ნამეტნავათ ცხადთ და სწრაფთ ვხედეთ ხოლმე ამ გვარ მოვლინებებს იმ პირებში, რომლებსაც არა აქვთ იმორტოა ძალა და ვაბედვა; რომ მინუტის შთაბეჭდილების ქვეშ თავისი ნაღველი და მზამი შიგნითვე დაიტრიალონ და საქვეყნოთ არ გამოაშკარონ.

ამ გვარ პირათ დღეს გამოჩნდა ერთი მაქირელი ბლადოჩინი-დეკანოზი იკატრივე შკოლის მასწავლებელი, რომელიც ჩემ კორრესპონდენტს იხსენიებს ისე გაუწიწმადება, რომ რაც პირზედ მოადგება, გაუგებრათ ისერის, გულითათი სურვილით რითმე დამჩიოქოს; მაგრამ დარწმუნებული თავის გონებით უსურობაში, ვაფიცებულები მ. იოელ ხატივეი — ხავს ხელს აწოდებს და ჩემ კორრესპონდენტს რაღაც პიროვნულ შეძლებას უწერს, — მასთან მოჰყავს რაღაცა ჭორები, საიდანაც ჩანს, რომ თურმე ჭალარა დეკანოზს რა გვარათ დროება უტარებია და მოჭარბებული სიცოცხლე ჭორიკანობაში დღი-დღიურათ უგარებია.

მაგრამ მე, ღმერთო მართალო, პირველათ მესმის ეს ჭორები. არ ვიცი, მ. იოელ ხატივეს ქალებთან რაღაცა ცემა-ტყება ჰქონდა, ან თამაშური გლეჯა მღვდლებში, მე მაგეებისა არა ვიცი რა და არც ესაჭიროებ მაგისთანა საქმეებში შევერიო და გამოვიკვლიო, ესეები იგრევე დეკანოზებს იამებათ გემრიელ საღი-ღის მირთმევის ჟამსა...

მაგრამ საკვირველი ის არის, დაჭარბებულ დეკანოზს, რომელსაც მათუხალური სიცოცხლე სიბატონით მიანიხა, რადგანაც მათუხალობას მისთვის „სიცოცხლის გამოცდილება“ მხოლოდ წინ დაუდგა პსევდომინების ბიოგრაფიები აწერო, თუმცა პსევდომინის ნამდვილი გვარი და სახელი არ იცოდო, რომ როდესაც შენ დაგძრახოს დაგაკიცხოს ვინმე, როგორც საზოგადო მოქმედი, რომელიც იმ საქმეს, რომელსაც ემსახურები, აზრე და აჩიოქებ, — შენ ქალებზედ ლაპარაკი და ჭორიკანობა ბეჭედში გააბიო და მაშინ „უტაქტობა და მოუზრებლობა სიტყვებში“ ბოღბელის მხრით მშვიდობით ჩავიღისო. ღიახ, უ. ხატივეო, მათუხალის „გამოცდილებას“ თქვენთვის ის შნო მიუცია და ამ გვარ სიცოცხლეს როგორ იკეხით და კიდინ მიწას ამძიმებთ. როგორც თქვენ დარწმუნებული ხართ იმაში, რომ მე, „ბოგში გადამიტანეს“ იმ ვილაყა (თქვენ მოგონილ) ქალებმა და მღვდლებმა, რომლებთანაც თქვენ გიძიდგინათ, და იმას მათქმევიდებენ, რაცა სურთ, ვგრეთვე მეც დავრებული და თქვენსავით „ღარწმუნებულები“ ვარ, რომ მიზიყის ვირებს რქები ასხიათ და თქვენ უქმა შკოლის კედლებს ვაშილი დაუსხამთ.

ჩემ კორრესპონდენტებში მე ყველაზედ ვსწრავდი — სოფლის მოსამართლეებზედ, ჩაფრებზედ, გამოძიებულ-სულიაზედ და სხვა შკოლებზედ, მაშ სულ სხვას ჩაუგონებია

და წუთადუნებია მე, „ბოგში“! მაგრამ მოკლე აზრის პირს რას შეასმენ... ჭორების შესახებ ვსეც კმარა — ჭორები, ბოროტობა, ბიყუ-შობა, ქვეშ-ქვეშობა, წაცადუნება, მისყიდულობა, პიროვნობა, ორპირობა ისევე თქვენკენ მოიკითხეთ და მიიღეთ მოხუცებულთ, წლოვანთ მათუხალს? მს მოდა ჩვენ წრეში ვერ სუფეხს.

მე ვსწრადი, რომ ბ. ლოლაბერიძეს მოადგილეებმა და არა ბ. ლოლაბერიძემ, როგორც თქვენ ტყუილათ იწერებთ, არ ჩაყენეს შკოლებში სპეციალისტები და სხვ. მე ლოლაბერიძეზედ არ ვიტყვადი, რადგანაც შეტყობილი მაქვს, რომ თუ ლოლაბერიძე დარჩებოდა, თქვენ შკოლას ისე ვეღარ დაინახამდით, როგორც, ძამხატკას.

მართალია, თქვენ შკოლაზედ არის მოხსენებული ცირკულიარში, მაგრამ კარგათ ვერ გაგიგიათ, რა ნაირათ არის დასახული თქვენი შკოლები. საზოგადოთ შკოლები უსარგებლოთ და უფარგისათ ირიცხებიან, ამ უხეიროებში თქვენი და ორი სხვის შკოლა უყუთესებათ ჩანან. ჩემი სიტყვებიდან კიდევ ჩანდა, რომ მღვდლებ-ბლადოჩინების შკოლებმა ღირსეული, ჯეროვანი ჩილურის წყალი დალიეს და საჭიროა, სადაც იმათი ნაგლეჯები და რჩა, ამასაც ბოლო მოეღოს-მეტქი. თუ გქონდათ რამე საბაასო, უნდა დაგეტყვიებინათ, რომ მღვდელ-ბლადოჩინების შკოლებმა ჩვენ ხალხს რამოდენიმე სარგებლობა მოუტანეს და სხვა, ესე იგი თქვენ უნდა მთელი კორრესპონდენციები გაგენაწილებინათ და შეცთომები გეჩვენებინათ. მე კი დარწმუნებული ვარ, თუმცა თქვენ არა გჯერათ, რადგანაც არა ვჭორიკანობ და კიდევ ვეცდები შკოლებზედ ლაპარაკი ვაგვარდლო, თუ რედაქცია ნებას დაძრთავს, და მკითხველი დაეჯერო, რომ მღვდელ-ბლადოჩინიანთ შკოლები უქმა-მჭამელები იყენენ, როგორც მაგ დღეს თქვენი შკოლა.

თქვენ მოგყავთ, რასაკვირველია, თქვენი გონების შესაფერი, არგუმენტი, რომ ბ. ლოლაბერიძე პედალოია, კარგათ იცისო და დირექტორობის ჯამაგირი ეძლევაო! ღიახ, ქვეშარტია! ლოლაბერიძეს თუ არა სცოდნოდა, ხომ თქვენ ისევე შკოლის ჯამაგირი თითქმის 35-40 თუმნიდამ 15-დის არ ჩამოგეტყვოდათ. ლოლაბერიძემ იცოდა და თქვენ კიდევ იმითომ დაგცხათ და ტურბატოვის დრო, ის თქვენი შკოლის დალოცვილი ჟამი, ლოლაბერიძეს ხელში მოგაკლდათ. ტყუილათ გარემემო ტრიალებთ და აქეთ-იქით ქნევით ბიუროკრატის მონებითი ფთოლა გასული შესწიროთ. ტყუილათ, ლოლაბერიძე ნამდვილი პედალოდი იყო და მისი ღირსება ჯამაგირით არ აიწონის. ნუ გეშინიანთ, სხვა დაინიშნება ლოლაბერიძეს ალაგას და იქნება ტურბატოვობა შკოლებში მოგობრუნდეთ!

ან რასაც მე ვსწრადი თქვენ შკოლაზედ, ტყუილია? სინიღის ქვეშ იგონეთ-შკოლის ერთგულობა შეგიძლიანთ? ის ერთგულობა არ არის, რომ უნდა რამოდენიმე თვე უჯამაგიროთ იყავით. ჯერ მღვდელი მოვალეა დაუხაჩურათ შკოლა გახსნას სოფელში, მასთან ამ უჯამაგირობაში კარგი ლუკმები ცვივიან ჯიბეში სოფლიდან და ჯილდოების სახით... ძვირად ში განა ორჯელ მეტათ შესდინართ შკოლაში? იქნება ყოველთვის იარეზოდეთ, მაგრამ თქვენი ქალების მო-

ჩივრები ყმაწვილები ბეჭერი, მინაწილს რომლებსაც იმათი ლინეჯები, ცხვირ-მატყებით ხელები და სურვილი ვწევბათ. ამათ გვარ და სახელს მალე შეგატყობინებთ, ამ სიჩქარეში ვერ ვაგვარდლებთ თქვენ პასუხს. მანა მე თითონ არ ვიცი, არ მინახამ თქვენი გაწურთხული კარგი შეგირდები? თქვენი შკოლის ყმაწვილების უცოდინარობა სოფელში მალე ანდაზათ გამოვა და რათ ითაკილეთ, რომ თქვენი უხეირობა და უფარგისობა გამოვაშკარო?

თქვენ პასუხი არ მომეცით იმ საფუძვლებზედ, რომლებითაც თქვენ უსარგებლოთ და მანვეერათ დაგინახეთ შკოლაში. მაგ. მე ვკითხულობ: „მანა მღვდლობის და ბლადოჩინობის თანამდებობის ასრულებას ასდის, რომ შკოლას ერთგულობა გაუწიოს? მასთან ოჯახში ერთი კაცი და გაკეთებულ ოჯახში ერთი დაბერებული დეკანოზი თავის საქმეებს აუვა?“

თქვენ ამბავდ გაჩუმებული ხართ, ჩანს, რომ არა გეტქმისთრა. თუ კიდევ ლოლაბერიძემ თქვენ შკოლა არ ჩამოგართვათ იმ მიზეზით, რომ ხუთმეტ თუმან ჯამაგირად სპეციალისტი არ წამოვა და 30 თუმანი, სახლი და სხ. საჭიროება ვერ მოგპოვნა, თუმცა მალე მოახერხებდა, რომ თავი არ დაენებინა შკოლებისთვის. მე ეს ვიცი კერძობითი საუბარიდან იმ პირთან, რომელმაც ჯამაგირი ნახევრამდის მოგიჭრათ... იქნება იფიქრეთ, ჭორებით თავი გაგვწმინდათ?

ყმაწვილებს სენტრზედ ტყეში არ ატარებთ? ჭორებით წყალზედ? წისქვილში? მასთან სამდურაგის განცხადება არ იცით, თუ ახალ მოსწავლე ყმაწვილს თან ძღვენი არ მოჰყავს? აღდგომას ბატონების ბლადილში ყურს არ ატკობთ ხოლმე? თქვენ იმას არ არჩევთ, ღარიბია თუ მდიდარი.

მს არის ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ თქვენ შკოლაში ძრიელ ცრტა ყმაწვილები იარებიან, თუმცა მაქირი ყველაზედ დიდი სოფელია; ამასვე ამბობს ლოლაბერიძე ცირკულიარში (1875 წ. № 1). თქვენ სოფლის ფულები ჯიბეში ჩხრიალოთ უქმათ და უნდა დაემალოთ, რომ თქვენს ალაგს სასარგებლო, იქნება სხვა ვინმე მცოდნე, მოცლილი და ერთგული, შკოლის მოყვარე პირი მოიწვიონ.

მე ბევრი მინახამს მოჩივარი და არიან მაქირში თქვენი მასწავლებლობისა, უფალო დეკანოზო! ღამართალიც არის. მანა ტყუილათ მოგვევარეთ ბარონ ძორჩის ნაჩვენები მაგალითი, თუ არა გჯერათ, გადაშინჯეთ ამ გამოჩენილ პრაქტიკ-პედალოლის ანგარიშები (Ж. М. Н. Пр. 1869 г.) და იქ ნახეთ, მართალია, თუ ტყუილი. იქნება კიდევ გიშრობნიათ, ჯაფაც გაგიწვივინათ, თუმცა ფულებიც ბევრი გილიათ შკოლისა, მაგრამ ესლა, ამ ჩვენ დროში და თქვენი გონი-ტანით მასწავლებლობა არა შკოლას არ გამოადგება. მრთი რუსის პოეტის სიტყვა „мнѣ время тлѣть, тебѣ цвѣсти“ — სწორეთ თქვეთვის არის გამოთქმული.

მე ბევრ გვარ სისუსტეს ვხედავ თქვენ მასწავლებლობაში, მაგრამ სანამ ვსეც კმარა, და ამათი გამოაშკარება პიროვნობის სიძულილით უნდა ჩაითვალოს? ღრო გვაქვს ჩვენც ხეირიანი შკოლები გვეღირსოს, ხეირიანი მასწავლებლები მოგვივიდნენ, ხეირიანი სწავლა დაიწყოს. მანა პიროვნულ უსიამოვნობამ დაბადა ჩემში ეს სურვილი? თუ თქვენ გსურთ

საბაასო

მ. იოელ ხატივეს
მაქირის შკოლის მასწავლებელს.
(„დროება“, № 104.)

შველა იცნობს იმ საკუთრებითი პსინოლოგიურ მოვლინებას, როდესაც კაცი, რომელსაც თავის თავზედ დროთა ვითარების ან უმეცრების, თვისი ნიჭის და ღირსების უცოდ-



ქვეყანას თვალთვალში ნაცარი ჩაყარათ და თქვენებურსავე წყობილებას სიკეთის დალი დატყობთ უცოდინარ საზოგადოების აზრში? პარტი გზა ამოვიჩვენათ, ისევე იმაზედ მიბძნულით ქალარის გასასუქებლის სახელობისთვის, რადგანაც თვისი მოხუცებულობის ჟამიერება და სიჭაღარე...
ქორიკანობით დღეს საზოგადოთ და ბებრულ სიყმაწვილით დააგვირგვინეთ. აი ამას ქვიან—მე ერთს ვეუბნებოდი, ის დროს მოატლაკუნებოდაო.

მე კი ისევე ჩემებურათ, გავაგრძელებ შეკოლებზედ ლაპარაკს, მასთან თქვენ შეკოლაზედაც, თუ რედაქცია ინებებს, დაპირებას აღვისრულებთ. ახლა კი მშვიდობით ნახვამდის, პასუხზედ არ შეგიშინდება თქვენი "ბაეში".

განცხადებანი

განაცხადის კანტორა
დამწესებელი
1-ლი გილდიის ვაჭარი
ა. ა. აქიოვკი
პრეფის მადანზე, ტუჯუჯანოვის სახლებში,
წარმოება

- 1) ასესხებს ფულებს ყოველგვარი მოძრავი ქონებისა, $\frac{1}{2}$ ბანკის ბილეთებისა, აქციისა და მფილისის ბანკის გირაოს ფურცლებისა და სხ. გირაოთა;
- 2) ჰყიდულობს და ჰყიდის $\frac{1}{2}$ ბანკისა და მოგებიან ბილეთებს, აგრეთვე მფილისის კომერციულ ბანკის აქციებსა და მფ. საადგილ-მამულა ბანკის გირაოს ფურცლებსა და სხვ.
- 3) ჰყიდულობს ფულებს, რწმუნებითი ქალაღდით, ჰენსისის მილბისას, აგრეთვე ფორტის, არენდისკუპონების და სხვ. ფულებსა;
- 4) ახურდავებს სახელმწიფო სერიებს, ოქროსა და ვერცხლის ფულს რუსეთისა და სამწიფარ გარეთისა.
- 5) საზღვეველად (სტრახში) იღებს ტირაფის გაუქმებისაგან მოგებიან ბილეთებს ათ შუთრად ქალაქელებისათვის და ქალაქს გარეშე მცხოვრებლებსა ამას გარდა ერთი ფორტის მარკა უნდა გამოგზავნონ;
- 6) ჰყიდის მოგებიან შინაგან

სესხის ბილეთებს, დრო-გამოშვებით ფულების მიცემით, ასე რომ მყიდველს შეუძლიან ყოველ თვეში 15 მანეთი შეპოიტანოს მანტორაში;
7) ჰყიდის, მინდობილობით და-გირავებულსა და ვადას გადასულ, ძვირფას ნივთებს იაფ ფასად.
(10-7)

გამოვიდა და ისყიდება პრემა
"არანკა"
პრეცოდონიკალი ძალი
თხულებდა ზ. წერეთლისა
გამოცემული მ. ხელოძისაგან.
შასი ერთი აბაზი
ისყიდება ფფ. ხელოძის სტამბაში და მფილისის წიგნის მაღაზიებში.
ძალაქს გარეთ: ბორში—მლ. ტური-აშვილთან, ქუთაისს—სე. ჩომბანიძესთან, მზურგეთს—უ. ანტ. ზაყელთან, შოთს—უ. მოსბარ ბაბლოვთან, თელავს—ილია ზარაფოვთან.
(5-5)

ჭუთაისში, ლუბერნიის სტამბაში ისყიდება ზეო. ძალანდარაშვილისაგან შედგენილი წიგნი:—**რუსული მენის დასაწყისი პრაქტიკული კურსი მართვალთათვის.** გამოცემა მეხუთე, ხელ-ახლად გასწორებული და შემოკლებული. შასი სამი აბაზი.

LA VELOUTINE
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.
იეთი ზედმოკმდება აქვს აღიანი ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახალგაზდა აღიანის კანს დაამსგავსებს. მანს ეკერება და არა სჩანს.
შ. ძაი — გამომგონი

pommade satin
(ატლასის კომადა)
ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.
9, Rue de la Paix, Paris
156-69

ალ. ბოს. ჰიჰინაძის
პაროდოლ-კლასიანი სასწავლებელი
პანსიონი
ქუთაისში

მმართველობის ნება-დართვით ჩემი ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი შევსკვალე ოლ-კლასიან პანსიონითვე სასწავლებლად, რომელშიაც პირველი და მეორე კლასის სწავლის კურსი იმ პროგრამისა იქნება, რა პროგრამისაც გიმნაზიის მოსამზადებელი და პირველი კლასების სწავლის კურსია.
შისაც ჰსურს ყმაწვილის შემოყვანა ამ სასწავლებელში, შეუძლიან მოიქცეს ჩემთან ავეისტოს 15 დამ დაწყებული ვიდრე სექტემბრის 15-მდის. ამასზედ გვიან ყმაწვილი აღარ მიიღება სასწავლებელში.
პროგრამა:
1) სასწავლებლის შავირდები განიყოფებიან ორ ნაწილად: ა) მომსვლელი და, ე. ი. რომელიც თავიანთ ბინაზე დგანან და სასწავლებელში კი მოდიან მხოლოდ სწავლისათვის და ბ) პანსიონერებად, ე. ი. რომელიც სასწავლებელთან მყოფ პანსიონში ჰსცხოვრობენ. პირველი განყოფილების შავირდს, ე. ი. მხოლოდ შეკოლაში მოსიარულესთვეთეულს შემოაქვს წელიწადში ორმოცი (40) მან., ხოლო მეორე განყოფილებისა ანუ პანსიონერს—ორას ორმოც-დაათი (250) მანეთი.
2) ერთი ნახევარი ხვედრი ფულისა უქვევლათ უნდა იქნეს შემოტანილი ყმაწვილის შემოყვანისთანავე-სექტემბერში და მეორე ნახევარ-15 იანვრამდის.—შემოტანილი ფულის მაგიერ მარტო შეკოლაში მოსიარულე ყმაწვილებს ექნებათ სწავლა და პანსიონერებს—სწავლა, ბინა, სასმელსაქმელი, დაბანა, დარეცხა და ექიმი; ხოლო დანარჩენზე უნდა იზრუნონ მშობლებმა.
3) თუ დადებულს ვადაზე ფული შემოტანილი არ იქმნა, მაშინ ქუთაისში მცხოვრები ყმაწვილი პირ-და-პირ გაეგზავნება მშობლებს და სოფლებში, ანუ ქუთაისის გარეშე მცხოვრები კი ჩაპარდება იმ პირს, რომელსაც მშობელი, ყმაწვილის შემოყვანის დროს, თავდებათ წარმოადგენს, რომ თუ კი მან (მშობელი) ფული დროზე არ შეპოიტანა, მაშინ ეს თავდება ვალდებული იქნეს, შეკოლის მზრუნველისაგან პირველისავე ცნობის შემდეგ—ერთი კვირის განმავლობაში, ყმაწვილი წაიყანას და ჩააბაროს მშობლებს.
4) თუ მარტო შეკოლაში მოსიარულე ყმაწვილი არ წარმოადგინა დროზედ ფული, მაშინ მას დაუყოვნებლივ ალექციალება სასწავლებელში სიარული და სწავლა.
5) შემოტარე აღნიშნული ფული გადახთვის მხოლოდ სამასწავლებლო წლისათვის, რომელიც ჩვეულებრივ წელიწადზე ნაკლებია. შამწვილი რომ ავთ ვახდეს, ან სხვა მიზეზით, რომელიც სასწავლებლის მზრუნველზე დამოკიდებული არ იქნება, ვერ იარს სასწავლებელში, ამისათვის ფული არ გამოირიცხება. არც მაშინ გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილი დაივიანოს და დროზე არ გამოცხადდეს სასწავლებელში.
აღმნი: სასწავლებელი იმყოფება ქუთაისში, რიონის მარჯვენა მხარეზე, მღვდლის ს. ჩარკვიანის სახლში.
სასწავლებლის მზრუნველი ალექსი ბოს. ჰიჰინაძე (5-5)

რბ. გზა.	დლოა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გეგმები	ფოზტა	ზირჰა	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთილამ მიდის:	ა) მფილისი დამ:	პეტერბურგი, 6 ოქტ.		თფილისი, 11 ოქტომ.	
მცხეთა			68	38	მდსისქენ — შაბათს დილის 8 საათ.	სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს	მთი მანეთი ღირს:		კური შორავალის ფო.	1
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს — კვირობით, დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 3 1/2 პენსი.	84	ქერი ფუთი.	65
ხაშური	2	11 10	3 92	2 18	ბ) მდსისქემ:	ოთხშ., მზურგეთს — პარასკ და	პარიკში 3 22 1/2 სანტიმი.	89	ბაბა მრევენისა, ფუთი.	5 20
ბეჟათბანი			4 42	2 46	შოთისქენ — ორშაბ. ნასდ. 3 საათ.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და	მსკონტი (სარგებლისფასი)	6	— ამერიკისა, ფუთი.	5 60
ქვირილა			5 81	3 23	სტამბოლს — ოთხშაბათს, შუაღმეზე	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	97 40	ბაჰენტილი ბაბა ფო.	8
ქუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთილამ: I II III	მფილისისა და შოთისაკენ — ყო-	მოგებიანი (პირველისეხსი)	179 50	მატელი თუ შური ფო.	6
სამტრედია			7 73	4 29	სოხუმამდი. 4	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	მოგებიანი (მეორე სეხსი)	174 50	— მარკამისა ფო.	4 60
ახ. სენაკი			8 57	4 76	ქერამდი. 20 50 15 50	გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს	გირაოს ფურცლები:		პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი.	11 44		9 75	5 42	ჭავანჭოვ. 34	— ოთხშაბ.	თფილ. სააზნ. ბანკისა.		მონი, ფუთი.	4
შოთი	8 40				მდსისქემ. 38	გ) ბორილამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	83 50	შანის სანთლი ფუთი.	5 60
ახ. სენაკი			1 18	- 66	ბ) მდსისქემ:	შოველგან ყოველ დღე, კვირას	მოსკოვის (5%) . . .	88 25	სტეპარინის სანთელი, ფ.	10 30
სამტრედია			2 6 1	14	ტელეგრაფი	გარდა.	აკციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	45
ქუთაისი	11 51		3 4 1	69	მცი სიტყვა მფილისილამ:	დ) შოთილამ:	მდსის სავაჭრო ბანკის	165	— ცხერისა, ლიტრა.	50
ქვირილა			3 98	2 21	ქუთაისს, შოთს . . . 1	შოველგან ყოველ დღე, კვი-	შოთი-მფილ. რკინ. გზის		სპირტი, ველრო.	6 20
ბეჟათბანი			5 33	2 96	ბორს, დუშეთს, სიღნახს . . . 50	რას გარდა.	შავიზღვის ცეცხ. გემების	515	შაქარი, ბროც. ფუთი . . .	6 25
ხაშური	5 41	1 6	5 84	3 24	როსტოვის მდსისა მოსკოვს 2	წიგნის გაგზავნა რუსეთში	პავკახის და მერკურის . .	202	— ფხენილი ფუთი . . .	5 90
ბორი	7 23	3 6	7 36	4 9	პეტერბურგს, მარშაგს . . . 2	და სამზღვარ გარეთ:	პირგ. საზღვევ. საზოგ.	724 50	შავა გრგვალის ფუთი . . .	18
მცხეთა			9 8 5	4 1	მსპალეთში, შევიცარიაში 3	ლი წიგნის 4	პეტერბ. საზღვევ. საზ.	241 50	ზეთი ქუნჯუთისა ფო.	6 20
თფილისი	10 16	7 24	9 75	5 42	იტალიაში და საფრანგეთში 3 50	დაბეჭდილის (სამი მისხალი) . 8	მოსკოვის საზღვევ. საზ.	269	მქროლ 1/2 იმპერიული . . .	6 40